



გრიპი შესაძლოა იყოს
სერიოზული, თუ თქვენ
65 წელზე მეტი ასაკის
ხართ

ჩაიტარე აცრა



World Health
Organization

REGIONAL OFFICE FOR

Europe

გრიპის შეიძლება იყოს სერიოზული, თუ თქვენ 65 წელზე მეტი ასაკის ხართ

გრიპთან დაკავშირებული სიკვდილობის 80-90% 65 წელზე მეტი ასაკობრივი ჯგუფის ადამიანებში ხდება. ასაკის მატებასთან ერთად, იმუნური სისტემა სუსტდება და ნაკლებად ეფექტურად უმკლავდება სხვადასხვა ინფექციებს, მათ შორის გრიპს. ამიტომ, ასაკოვან ადამიანებში, ახალგაზრდებთან შედარებით მომატებულია გრიპის გამო ჰოსპიტალიზაციის რისკი.





რა არის გრიპი?

გრიპი ინფექციური დაავადებაა, რომელიც ადამიანიდან ადამიანზე უმეტესად ხველებით, ცემინებითა და ახლო კონტაქტით ვრცელდება. ჩვეულებრივსამებრ, გრიპის ეპიდემია ზამთარში ხდება. გრიპით შესაძლოა დასნებოვნდეს ნებისმიერი ასაკის ადამიანი.

რა არის გრიპის სიმპტომები?

ცხელება და შემცივნება, ხველა, კუნთების ტკივილი, თავის ტკივილი და დაღლილობა.

გრიპის სიმპტომები მოულოდნელად ვლინდება და შესაძლოა, გაგრძელდეს რამოდენიმე დღიდან ორ კვირამდე. ადამიანების უმეტესობა სწრაფად გამოჯანმრთელდება. ზოგჯერ, გრიპმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი სერიოზული გართულებები, როგორიცაა პნევმონია, ბრონქიტი და სიკვდილიც კი. გრიპმა შესაძლოა დაამძიმოს ჯანმრთელობის არსებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა გულის და ფილტვების დაავადებები.



რა არის გრიპისაგან დაცვის საუკეთესო საშუალება?

გრიპის საწინააღმდეგო აცრა ყოველ წელს, გრიპის სეზონის დაწყებამდე, საუკეთესო საშუალებაა რათა:

- შემცირდეს გრიპის რისკი
- შემცირდეს მძიმე დაავადებების, ჰოსპიტალიზაციის და სიკვდილის რისკი
- თავიდან ავიცილოთ გრიპის ოჯახის წევრებზე, მეგობრებსა და სხვა ადამიანებზე გავრცელების ალბათობა

არის გრიპის ვაქცინა უსაფრთხო?

აცრა უსაფრთხოა. გრიპის ვაქცინის ნებისმიერი გვერდითი ეფექტი ჩვეულებრივსამებრ მცირედაა გამოხატული და შესაძლოა მოიცავდეს ნანემსარის შეწითლებასა და შესიებას. ზოგ შემთხვევაში ვლინდება თავისა და კუნთების ტკივილი, ცხელება, დაღლილობა და გულისრევა. ეს გვერდითი ეფექტები მსუბუქადაა გამოხატული და გრიპისაგან განსხვავებით, სწრაფადვე გაივლის.



ვაქცინაცია უსაფრთხოა.
www.euro.who.int/en/fluaware